

# შინაური საქმეები

№ 32.

ქუთაისი, ნოემბერი 22, - 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

აღმასი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

**შინაური:** ქუთაისი, 22 ნოემბერი—მეგობრისა; ქართლის სამღვდლოების მომავალი სავარკიო კრება—ხელისა; რას ამოგენ შესანიშნავი აღამიანები ბიბლიის შესახებ—ონ. მწირისა; არის თუ არა დასახლებული ქვეყნები, გარდა დედა მიწისა?—ლავიწყებულასა; საზოგადოების საყურადღებო!; იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების საყურადღებო!—დეკ. ი. წერეთლისა; გარდამოხსნა იესო ქრისტესი—ოლ. ჯიბაღარი

უოველკვირეულ გაზეთ  
**„შინაურ საქმეებს“**  
 ხელის მოწერა შეიძლება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—გაზაკაგვის შესახვევში № 17) და სავაჭარო საბჭოში.  
 წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ლ 50 კ.  
 გაზეთი დებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.  
 დარჩენ. №№ ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ლ 50 კ.

◆◆ **სტამბა** ◆◆  
 იმერეთის წმ. გიორგის სარწ.-განმანათ.  
**„მეობრისა“**  
 ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშვილის  
 სახლში, გუბერნატ. განყოფილების ქვეშ,  
 დებულობს ყოველგვარ სასცამბო საქმეებს.  
 — სულ-მისაწვდომ ფასებში —  
 ასრულებს სუფთად და თავის დროზე.

ქუთაისი, 22 ნოემბერი.

მთელი ქუთაისი ტიფით არის ავად და სენი თანდათან ვრცელდება. აქამდის თუ ამ სენს და სხვასაც ღვთის რისხვად უყურებდნენ, დღეს ყველამ კარგად შეიგნო ამის ახლობელი მიზეზი და მიტომაც არის, რომ ჩვენ ქალაქის მამებს და პატრონებს ლოცვა-კურთხევას უგზავნიან. წყალი გვწამლავსო, გაიძახიან მცხოვრებლები, წყალი, რომელშიც მიღის ყოველ-გვარი უსუფთაობა ქალაქისა და რომელსაც სასმელად ვხმარობთო. გასაკვირვალია, რათ ასე ჩამორჩა, რათ ასე დაბეჩავდა ეს იმერეთის ძველი დედა ქალაქი, ჩვენი ქუთაისი? ფოთი, ბათუმი ორივე მის ხელში დაბადებული ქალაქებია, ორივე კეთილ განწყობილი, ორივე გამოჩინებული და ქუთაისი კი თუ სულ უკან მიდის, თორემ მის წინსვლას საშველი არ დაადგა; არ იქნა ვერ წადგა ფეხი წინ, რომ ცოტა რამეს დამსგავსებოდა.

როდის იქნება ქალაქის საბჭოსგან დანაპირები წყლის გამოყვანა? მისი სიტყვით დღეს ეს საქმე დაწყებული მაინც უნდა იყოს და ჩვენ კი სასოება გვეკარგება. ვეღარ გავძელით ამდენ ავადმყოფობას. სახუმრო ხომ არ არის დღევანდელი ავადმყოფობა? თუ ამ რამოდენიმე ოცი

ქ. შარქის საბ. საქ. სსრ  
 სახელმწიფო რესპუბლიკა  
 ბიბლიოთეკა

წლის წინეთ ეს ავთმყოფობა ორი მანეთი ჯდებოდა ღღეს ასი და ორასი მანეთი არ გვეოფნის, ხოლო ავთმყოფს მაინც ვერაფერს ვეხმარებით. მართალია ფული არ იკარგება, ისევ ქალაქის ავთიაქში მიდის, მაგრამ ადამიანები გველუბება.

მერე, რაცუფრო სამწუხაროა, სენი მოსწავლეთა შორის უფრო მძვინვარებს. აგერ ხუთი კი დამარხეს ამ ცოტა ხანში და ავთმყოფთა რიცხვი ხომ აურაცხელია. სირცხვილია, სხვარომ არა იყოს რა, ასეთი უგულობა და უყურადღებობა. რაც ათი-თუთხმეტი წლის წინეთ უნდა გაკეთებულყო, ღღესაც გაუკეთებელია და არც ვიცით, როდის გაკეთდება. ნუთუ ეს უნდა დავმართოს ქალაქს მეოცე საუკუნეში, როცა კაპიტალიც იშოვება და ტექნიკური ძალებიც ხელს უწყობენ? რაც ღღეს ქუთაისში საცოდობა ტრიალებს წყლის მეოხებით, რაც ღღეს დამწვარ დედათა მღუღარე ცრემლები იღვრება, რაც ახალგაზდა, ნორჩი სიცოცხლეები წუთისოფელს ესაღმება, ყველა საბჭოს ედება ბრალად და ეს ბრალი მით უფრო დიდია და შეუწყნარებელი, რამდენადაც ადვილი მოსახერხებელია დღევანდელ პირობებში წყლის გამოყვანა და მცხოვრებთათვის წმინდა წყლის მიწოდება...

მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ არ ვკარგავთ იმედს და ვსასოებთ, რომ ქალაქის საბჭო მოიღებს ოდესმე მოწყალეებას, თუ ჩვენმა ტანჯულმა სულმა სულმა მიაღწია იმ სახეტარო დრომდის.

ქუთათელი.

### ქართლ-კახეთის სამღვდლოების მოძველი საეპარქიო კრება.

გაზ. „კავკაზმა“ ამბავი მოგვიტანა, რომ 14-21 დეკემბრამდე გაიმართება ქართლ-კახეთის სამღვდლოების საეპარქიო კრება შესახებ სამღვდლოების საჭიროებისა. გაზეთი დასძენს, რომ განსახილველი საკითხების გეგმა ამ ცოტა ხანში შემუშავდება.

კარგი იქნება, ეს გეგმა თავის დროზე გამოცხადდებოდეს, რომ კაცმა ადრევე შეიტყოს, თუ რაზე ექნება მსჯელობა საექსარხოსოს მოწინავე სამღვდლოებას. თუ ამ კრებამ სამღვდლოების პირადი საჭიროების მეტი არაფერი აღნიშნა, ესეც ისეთივე წყალ-წასალები კრება იქნება, როგორიც ყოფილა ღღემდის. ახალი ამბავი არ არის, რომ სამღვდლოება თავის ნივთიერად ამალღებას ეძებს. მისი მისწრაფება, მას აქეთ, რაც ჩვენმა ეკლესიამ სხვის კალთაში ჩაიძინა, პირადი ბედნიერების ძიება იყო. მეტი საზრუნავი მას არაფერი ჰქონია, უკეთ რომ ვსთქვათ, სხვისთვის არაფრისთვის არ შეუდგია თავი, თუმცა საფიქრალი და საზრუნავი ბევრი რამ იყო ჩვენ ეკლესიურ ცხოვრებაში. ხალხი გარეგნობით მაინც მორწმუნე იყო და ეს საკმარისი იყო ჩვენი სამღვდლოებისთვის, რომ განესვენებია პირადი კმაყოფილების ოცნებაში.

მაგრამ დრონი იცვალნენ. ხალხი უკუუდგა სამღვდლოებას; მან მოითხოვა ქეშმარიტი მწყემსი, რომელიც არა მხოლოდ თავისას ეძიებდეს, არამედ სამწყსოს პატრონობდეს და ზრდიდეს ზნეობრივად და გონებრივად. დღევანდელი სამღვდლოება ვერ დახვდა მომხადებული ასეთ მოთხოვნებს. იგი მოსვენებასა და უსაქმურობას (ვგულისხმობთ მოვალეობის შესრულებას) შეჩ-

ვეული, ვერ აიშალა ერთბაშათ სასარგებლო მუშაკობისთვის და შეიძლება ვერც მიხვდა ღღევანდელი დროის სასწაულს—როგორ მოვიქცეთ, რომ სამღვდლოებამ დაკარგული გზა მოსძებნოს, თავის საქმეს შეუდგეს დროის მოთხოვნილება იცნოს და მისდა მიხედვით ეკლესიას დარაჯად დაუდგეს? რა ღონისძიება ვიხმართ რომ ცოტათ მაინც შევაფერხოთ ის სარწმუნოებრივი გულგრილობა, რომელიც ლამის ურწმუნოებათ გადიქცეს? აი საკითხები, რომელთა უყურადღებოდ დატოვება მალე გამოაცლის სამღვდლოებას. ნიადაგს ამ საკითხებთან ახლო კავშირი აქვს სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობასაც; უფრო მეტს ვიტყვი, ამ საკითხების ასე თუ ისე გადაჭრა და განხორციელება ყოფნა არ ყოფნის საკითხია სამღვდლოებისათვის.

გავვიგონი, ქართლ-კახეთის სამღვდლოება თვით გულგრილად ეკიდება ყოველივე ეკლესიურ დადგენილებას, არ აქვს ჯეროვანი მოკრძალება და პატივისცემა სამღვდლო მოქმედებათადმი და ამ თავის გულგრილობას და უკრძალველობას არ ფარავს ფართო საზოგადოებისაგან; ამ ნაირად იგი თვით ანგრევს თავის სამეფოს, თვით ანადგურებს იმას რის აღშენებასაც უნდა ცდილობდეს. და ნუთუ ამის შემდეგ კიდევ ნება აქვს მას, მოითხოვოს თვისი უზრუნველყოფა, მოითხოვოს საზრდო? რისთვის? განამისთვის, რომ ფეხ-ქვეშ თელოს ადამიანის უწმინდესი და უდიდესი გრძნობები? შეაგინოს, შებილწოს და სრულიად დაუკარგოს ის სარწმუნოების ნატამალიც კი, რომელიც ჩვენ ხალხს კიდევ შერჩენია ჩვეულებასაგან? რაც გინდათ, ბრძანეთ, და ასეთი სამღვდლოების უზრუნველყოფა დიდი დახმავაულობაა. სამღვდლოების კრებამ უნდა მოითხოვოს უფლება ასეთი სამღვდლო პირნი საჯარო ამხანაგური სამარ-

თლით და გაუსწორებელი თანამოძმე იძულებული ჰყოს, მოსცილდეს იმ ტრაპეზს, რომელსაც იგი დასცინის, რომელსაც იგი ბილწავს თავის მურტალი ხელებით. ბ. რამპოლლას წერილები, რომლებიც „ზინ. საქ.“-ს ფურცლებზე იბეჭდებოდნენ და რომელზედაც პასუხი არაფის გაუცია ნათლად ამტკიცებს იმ აზრს, რომ უმრავლესობა ქართლ-კახეთის სამღვდლოებისა უღირსად ატარებს სამღვდლო ხარისხს...

აი ჩვენი აზრით რა საგნებმა უნდა მიიქციოს სამღვდლოების ღღევანდელი კრების ყურადღება და არა იმან თუ რა ვაჭამოთ და რა ვასვათ იმათ, ვინც ნაცვლად საქმის გაკეთებისა საბოლოოდ ახდენს მას.

ხელი.

რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები

ბიბლიის შესახებ? \*



ი. ჟილდვისი.

გერდერი, გამოჩენილი და გავლენიანი გერმანელი მწერალი და მოაზრე (1744—1803 წ.), ღრმად პატივისცემდა ბიბლიას. ერთხელ მან სთქვა; „როგორც ბავშვი ექცევა თავის მამის ხმას, როგორც საყვარელი თავის საძლოს ხმას, ისე ჩვენც უნდა ყურს ვუვადებდეთ ღვთის ხმასა საღმრთო წერილში და ვითვისებდეთ საუკუნოს ხმებსა, რომელნიც მასში გაისმოან.“

XIX საუკუნის დიადი პოეტის ლორდ ბაირონის (178—1824) სიკვდილის შემდეგ მის ბიბლიაში იპოვნეს შემდეგი მისგან შეთხუზული ლექსი:

„ნეტარ არს იგი, ვინც საღმრთო წიგნის განყოფილი ფურცელი განსაკვირველი, შეიგნო მისი აზრი და სული; და წმინდა ლოცვის მის წინა მოქმელი

\*) იხ. „ზინ. საქ.“ № 31.

მღუმარებით და ცრემლიან თვალით,  
წანაზე მისსა რილით და კრძალვით,  
სულით და აზრით ზე აღიტაცა.  
ის სიბრძნე იქვით არ განიცადა....

მაგრამ სჯობს ასჯერ, ჰო მომავდაო,  
„არ შობილიყო ვიდრე საკვირვო ბწყარი  
ამაყმა რომ არ მიიღო!“ უშესანიშნავესი ნემე-  
ცი იუმორისტი **ჟან პოლ რისტერი** (1763—  
1825 წ.) დიდი მოყვარული იყო წმიდა  
სახარებისა. რათა გვიჩვენოს, რომ არც ერთი  
სხვა საგანი ისეთი ყურადღების ღირსი არაა,  
როგორც სახარებაში დასურათებული ცხოვ-  
რება ქრისტესი, იგი ამბობს, რომ „ეს არის  
ცხოვრება ისეთი პირისა, რომელმაც, უუწმი-  
ნდესმა უუძლიერესთა შორის და უძლიერე-  
სმა უუწმინდესთა შორის, შეარყია თვისი  
განგმირული ხელით იმპერიეაი, სხვა მხრის-  
კენ მიაქცია მიმდინარეობა კაცობრიობის  
ისტორიულ ცხოვრებისა და ახლაც მართავს  
ამ ცხოვრებას“

ცნობილი ინგლისელი რომანისტ მწერალ  
ვალტერ სკოტას (1771—1832) შესახებ  
მოგვითხრობენ, რომ როცა იგი სასიკვდილო  
სარეცელზე იწვა, სთხოვა თავის სიძეს წაე-  
კითხა წიგნიდან რამე. როცა სიძემ კითხა,  
„რომელ წიგნიდან?“ დიდმა მწერალმა,  
თვით დაშფერვა მრავალ შევნიერ წიგნისა და  
მთელ წიგნთსაცვაფების გადაშკითხველმა, მი-  
უჯო! „არსებობს მხოლოდ ერთი წიგნი:  
„ბიბლია.“

შესანიშნავი ინგლისელი პოეტი და  
ფილოსოფოსი კოლრადაუი (1772—1834 წ.)  
თავისი „ერისკაცის ქადაგებაში“ აღნიშნავს  
იმ ისტორიულ ფაქტს, რომ საჩინო ნაწილს  
ჩვენი ცოდნისა და ცივილიზაციისას ბიბლიაში  
აქვს ძირი. ბიბლია იყო ძლიერი აზარისკი,  
რომელმაც დღევანდელ სიმაღლეზე ასწია  
ევროპის გონებრივი და ზნეობრივი ხასიათი.  
„ბიბლიის სიტყვები, — ამბობს იგი, — გაისმის  
ყურებში დაუფიწყარ მუსიკით, ვით ეკლე-  
სიური ზარის ხმა ახლად-მოქციულის სმე-  
ნისთვის.“\*)

\*) იხილეთ *Смидельс. Характеръ.*

დიდებულ ნემეც პოეტს ჰენრიხ ჰეინეს  
(1797—1856 წ.) ეკუთნის შემდეგი, საუცხო-  
ვო. ქემპარტად ზეშთანაგონებელი სიტყვა  
ბიბლიის შესახებ:

„ჩემ მიერ გამოცემულ წიგნში „რომანტე-  
რი“, სწერს ჰეინე, — ვამბობდი იმ ცვლილე-  
ბაზე, რაც მოხდა ჩემს გონებაში შესახებ  
სარწმუნოებრივ კითხვათა... ეს ცვლილება  
ჩემში წიგნმა გამოიწვია.

წიგნმა? დიად, და ეს არის ძველი, მარ-  
ტივი წიგნი, მშვიდი და ბუნებრივი, როგორც  
ბუნება; წიგნი ისე მიუჩემებელი და საყოველ-  
ცლევო, როგორც მზე მათბობელი ჩვენი და  
პური გააძღობელი ჩვენი;

წიგნი, რომელიც ისე აღერსიანად, ისე-  
თი მაკურთხეველი სიკეთით შეგვცქერის, რო-  
გორც მოხუცი ბებია, მკითხველი ყოველდღე  
ამ წიგნისა საყვარელი, მთრთოლვარე ბავით;  
ამ წიგნს ჰქვია უბრალო სახელი — ბიბლია.  
სამართლიანად ეძახიან მას ავრეთვე საღმრთო  
წერილს ვინც დაკარგა თვისი ღმერთი, ხელა-  
ხლად იპოვის მას ამ იწიგნში, და ვინც არა-  
სოდეს არ იცნობდა თვის ღმერთსა, მას  
მიპბერავს იქიდან სული საღმრთო სიტყვისა.  
ებრაელებმა, რომლებსაც ესმოდათ სიძვირ-  
ფასე, ძალიან კარგად იცოდნენ, რას ჩადი-  
ოდენ, როცა მეორე ტაძრის დაწვის დროს  
ცეცხლის მსხვერპლად დასტოვეს ოქროს და  
ვეცხლის ქურქლები, ქანლები, ლამპრები და  
თითქმის სამღვდელ მთავრო შესამოსელი ძმირ-  
ფას ქვებიანი და გადაარჩინეს მხოლოდ ბიბ-  
ლია. ის იყო თავი საუნჯე ტაძრისა და მად-  
ლობა ღმერთს, რომ ამის სხვერპლად არ  
გადიქცა.“<sup>1)</sup>

თავის მეორე თხზულებაში „აღსარება“  
დიდი მწერალი მოგვითხრობს იმ გავლენაზე,  
რაც იქონია ბიბლიის კითხვამ მისი სულის  
უკანასკნელ გარდაქმნაზე, და შენიშნავს:  
„ჩემში რომ ხელახლად გაიღვიძა სარწმუნოე-  
ბრივმა გრძნობამ, ეს ამ საღმრთო წიგნის ნაყო-  
ფია. ეს წიგნი იყო ჩემთვის იმდენადვე წყარო

<sup>1)</sup> *Сочинения Г. Гейне съ переводъ русских писателей томъ Ки стр. 16—17.*

ხსნისა, რადენად საკანი მოწიწებით განკვირებისა. საოცარია! მთელი-სიცოცხლე მიმოვხეთქილი ფილოსოფიის ყველა ტანც კლასებში, ვედლევილი გონების ტალღებს, სიყვარულით ვუკავშირდებოდი ყოველნაირ სისტემას ვერ მპოვნელი კმაყოფილებისა,— და აი ახლა უცებ ვაგზნდი იმ თვალთსაზრისზე, რომელზედაც სდგას ბიძია ტომი, თვალთსაზრისზე ბიბლიისა, და მუხლს ვიყრი ამ შავ მლოცველის გვერდით მისგვარვე საღმრთო მოწიწებით. რა დამცირება! მთელი ჩემი მეცნიერებით არ გამისწრია საწყალ, უსწავლელ, ჩათვლით ძლივს წამკითხვ ზანგის თვის! \* 2)

დიდი ნიჭიერი უდროვოდ გარდაცვალებული ცნობილი ფრანგი პოეტი ალფრედ მიუსსე (1801—1857) ხშირად ცრემლით სავსე თვალებით დადიოდა თავის ოთახში და ხელში სახარება ეკირა; ამასთან იგი ჩვეულებრივ წამოიძახებდა: „არა, აღამიანს არ შეუძლია ამისთანა წიგნის დაწერა, ეს ღვთის ნაწარმოებია!“

რ. მჭირი.

(შემდეგი იქნება).

**არის თუ არა**  
**დასახლებული ქვეყნები გარდა**  
**დედა-მიწისა?**  
(რ. ტოლანდიგან).

სავარსკვლავეთ მრიცხველ თეორიამ შესახებ იმისა, რომ გარდა დედა-მიწისა სხვა პლანეტებზედაც უნდა იყოს სიცოცხლე და ცხოველები, მსგავსი ჩვენი დედა-მიწის ცხოველებისა, ამ უკანასკნელ დროს ბევრი მომხრე იშოვნა. ვარსკვლავთმრიცხველთაგან ამ აზრის გატაცებული მომხრეა ფრანგი ვარსკვლავთმრიცხველი ფლამარიონი. პოეტებმა, ამბობს იგი,

\*) Полн. собр. сочин. Г. Рейне изд. А. Ф. Маркса, III, II, ст. 354

ათასნაირი ფანტასტიური სახეები მოიგონეს, რომელნიც მოკლებულნი არიან რეალურ მყოფობას, მაგრამ ბუნება გაცილებით უძლიერესია პოეტებზე. მაშასადამე ვარსკვლავები დასახლებულია. ეს სილლოგიზმი მთავარი საფუძველია ფლამარიონისა, რომელზედაც ამყარებს ვარსკვლავებზე ცხოვრების სინამდვილეს. აქედან იგი ამტკიცებს, რომ სიცოცხლე გავრცელებულია მთელ ქვეყნიერებაში. მიკროსკოპმა დაგვანახვა ერთ ცვარ წყალში მთელი ქვეყნიერება ცოცხალ არსებისა, მით უმეტეს იგინი უნდა არსებობდენ ვეებერთელა ქვეყნებზე. მაგრამ მიკროსკოპს რომ იხსენიებს, ფლამარიონს ავიწყდება ტელესკოპი. ტელესკოპი კი შეურყეველ საბუთებს იძლევა იმისას, რომ სიცოცხლე არც ისე ფართოდ არის გავრცელებული ქვეყნიერებაზე, როგორც ამას ფიქრობს საფრანგეთის ვარსკვლავთ მრიცხველი. სიცოცხლის აღორძინება მისი დაცვა ისეთ პირობებს მოითხოვს, რომლებიც ყოველთვის და ყველგან არ იპოვებია. მარცვლი ჰკარგავს აღორძინების თვისებას 50 გრადუსს ზემოთ (ცელსით), ან როცა ეს სითბო ეცემა ცოტა ნოლს დაბლა. ცის მნათობთა სიცხესიცევე (температура) გაცილებით აღემატება იმ მიჯნებს, რომელთა გადაღმა თესლი ჰკარგავს აღორძინების თვისებას და კვდება. ამბობენ სხვა ქვეყნებზე შეიძლება სხვანაირი ცხოველები იყვნენ და სხვა საცხოვრებელი პირობებიო. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ჰაერი, წყალი, შეზავებული სითბო, სიცხე, საქმელი საქირთა ყველა ცოცხალი არსებისთვის, სადაც უნდა ცხოვრობდენ იგინი, და სადაც ეს პირობები არ არიან, იქ სიცოცხლეც არ შეიძლება იყოს. ტყუილია ლაპარაკობენ, რომ სიცოცხლე ყველგან არის გავრცელებული. პოლიარებში, მალ-ლ მთებზე და უდაბნოებში სიცოცხლე დედ მიწაზედაც არ არის. გეოლოგია ამტკიცებს, რომ დედა-მიწაზე სიცოცხლის ნასახი არ ყოფილა ლავრენტევის ხან ს წინ, როცა დედა მიწაზე ჩვეულებრივზე მეტად ცხელია. ამ დროს დედა-მიწა სრულიად მკვდარი დაყილობდა სივრცეში.

ამ რამოდენიმე ათი წლის წინეთ კიდევ შეიძლება ფიქრი ვარსკვლავებზე, როგორც დასახლებულ ქვეყნებზე. მაშინ მეცნიერებაში გაფიქრებული იყო ვერშელიების და არაგოს ჰიპოტეზა, რომლებსაც წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ მზე თავისთავად ბნელი სხეულია, რომ მას ორი გარსი არტყია—გარეთ გახურებული და მტბნვარე და შინაგანი, რომელიც ეკრანის (ფარდის) მაგიერობას უმწვევ მზეს, უგზანის მას ზომიერ სითბოს და სინათლეს. ასეთ მოსაზრებასთან ადვილი წარმოსადგენი იქნებოდა მზეზე და სხვა ვარსკვლავებზე მოსახლეობა. მაგრამ მათმა სპექტრალურმა განხილვამ მთლად დაარღვია ესეთი ჰიპოტეზა. ყოველ ექვ გარეშეა, რომ მზე და ვარსკვლავები გახურებულ მდგომარეობაში არიან, მათი სიმბურვალე მილიონ გრადუსებით საანგარიშოა და ამიტომ იქ სიცოცხლის ნიშან წყალზე სიტყვაც მეტია; არ შეიძლება სიცოცხლე იყოს ნისლოვანებზე ან კომეტებზე, რადგან მათი შემადგენელი ნივთიერება მეტად თხელია და ქიმიური შემადგენლობა მეტად მარტივი. გვრჩება კიდევ ის მოსაზრება, რომ ამ მკვდარ ქვეყნებზე შემდეგ აღორძინდება სიცოცხლე. მზე და სხვა ვარსკვლავები გაცივდებიან დაიფარებიან მაგარი გარსით, როგორც დედამიწა, და მაშინ მათზედაც გაჩნდება სიცოცხლე. მაგრამ ამის მიღებაც არ შეიძლება. მზეზე რომ ცოცხალი ორგანიზმები გაჩნდნენ, ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ მისი გაცივება, საჭიროა კიდევ ისეთი წყარო, საიდანაც იგი დებულობდეს სითბოს და სინათლეს. ასეთი წყარო კი არსად არის. უმახლობელესი მზიდამ ვარსკვლავები არიან ცენტრავრი ღმერ 1 ვარსკვლავი გედის კრებულში—პირველი დაშორებულია მზეზე ტრილიონი ლიეთი, მეორე 15 ტრილიონი ლიეთი. იგინი ვერ მიაწვდიან მზეს ვერც სითბოს და ვერც სინათლეს. ვერც სხვა ვარსკვლავები იშოვსაჭირო სითბოს და სინათლეს ამ ნირად ვარსკვლავები იყვნენ და დარჩებიან უსიცოცხლოთ, ხოლო თუ ეს ესეა, თეორია საყოველთაო სიცოცხლისა ყოველ საფუძველს

მოკლებულია. დიდი უმეტესობა მსოფლიო მატერიისა მოთავსებულია მნათობებში (მზე 700 ჯერ მეტია ყველა თავის სისტემის პლანეტებზე ერთად), და ეს უმეტესი ნაწილი, როგორც სჩანს, არ ატარებს თვის შორის არავითარ სიცოცხლეს,

შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ სიცოცხლე ვარსკვლავების თანამგზავრებზე—პლანეტებზე? ეს საკითხი შეიძლება გადასწყვიტოთ მხოლოდ მზის ციაგების შესახებ და არ შეიძლება იმის თქმა, რომ მათი განხილვანებას გვაძლევდეს დამტკიცებითი პასუხისათვის. მზის ყველა სხეულებაზე ახლოს ჩვენთან მთვარეა. ყველანი თანახმა არიან, რომ მთვარე სრულიად მოკლებულია ჰაერს აგრეთვე არ არის მთვარეზე წყალი. დღე იქ ჩვენი 15 დღე ის სიგრძეა, ამ სიგრძევა დამეც. დღე სიცხე აღემატება იმ სითბოს, რაც საჭიროა წყლის ასადუღებლად; ხოლო ღამე სიცხე 100 გრადუსით მეტია იმაზე რაც საჭიროა, რომ ოთახში წყალი გაიყინოს. ასეთ ცვლილებას ვერ უძლებენ კლდეებიც დაინგრევიან, და რა საფიქრებელია, რომ მას გაუძლებს რომელიმე ცოცხალი არსება. უფიქველია, რომ მთვარის ზედა პირზე არ არის სიცოცხლე. ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს სიცოცხლე დამარხულია მის სიღრმეშიო, მაგრამ ეს ფანტასტიური, დაუძტკიცებელი მოაზრებაა, რომელის წინააღმდეგაც ბევრი თქმულა და ბევრია სათქმელი. შესაძლებელია რომ, წარსულში ყოფილიყო მთვარეზე სიცოცხლე? ის ჰიპოტეზები, რომლებიც წამოყენებულია დღეს შესახებ იმისა თუ რანაირად მიიღო მთვარემ დღევანდელი სახე და მოძრაობა (ფაის ჰიპოტეზა შესახებ მთვარის მთების და მათ ღრადობის წარმოშობისა) შეუძლებელად ხდიან ასეთ მოსაზრებას.

უმახლობელესი პლანეტი ჩვენი ქვეყნიდან არის ვენერა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ახლოს ახლავს მას და ჰაერიც აქვს, ვენერა არ წარმოიდგენს მეტ ხელშემწყო პირობებს სიცოცხლისათვის, ვიდრე ჩვენი

უბედური თანამგზავრი—მთვარე. წლების ცვა-  
ლებადობა აქ ნამეტანი სისწრაფით ხდება.  
ზაფხული ისეთი მცხინვარეა, რომ მას ვერ  
აიტანდა ჩვენი დედა-მიწის ვერც ერთი ეკვა-  
ტორზე მცხოვრები, ზამთარი კი უმკაცრესია,  
ვიდრე ჩვენი პოლიარების სუსხი. ხშირი  
ცვალებადობა სიცხე-სიცივისა ვენერაზე მი-  
ზეხი უნდა იყოს ისეთი ძლიერა ქარიშხალე-  
ბისა, რომელთან შედარებით არაფერს არ  
წარმოადგენენ ჩვენი გრივლები და სმერჩები.  
ხოლო თუ ეს ასე იქ ყოფილად შეუძლე-  
ბელია ცხოვრება.

ვენერას შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ  
მერკური. სკიპარელმა შემდეგ რვა წლის  
კვლევა-ძიებისა დაამტკიცა, რომ მერკური  
იმდენ ხანსვე უნდება თავის ღერძზე გადა-  
ტრიალებას, რამდენხანსაც მზის გარშემოვლის  
(87 ჩვენებურ დღეში), ე. ი. რომ იგი ყოვე-  
ლთვის ერთი მხრით უყურებს მზეს. აქედგან  
სჩანს, რომ მერკურის ერთ მხარეზე მუდამ  
დღეა, მეორეზე—მუდამ ღამე, ერთ მხარეზე  
საშინელი სიცხე, მეორეზე—საშინელი სიცი-  
ვე. მაგრამ მეცნიერებამ არ იცის ისეთი  
ორგანიზმები, რომლებსაც შეეძლოთ სიცი-  
ხლე 100 გრადუსზე მეტ სიციხეში და ნოღ  
გრადუსზე უფრო დიდ სიცივეში.

შემდეგ, როგორც უმახლობელესი დედა  
მიწიდან პლანეტა, უნდა მოვიხსენიოთ  
მარსი. იგი ბევრ რამეში წააგავს დედამიწას.  
წელიწადის დრონი იგივეა, რაც დედამიწაზე,  
დღისა და ღამის სიგრძე ახლოს წააგავს  
ჩვენსას, ჰაერი უსათუოთ არის; წელიწადი  
კი ორჯერ უკაცსია ჩვენსაზე. მაგრამ ყველა  
ამასთან მარსი ძალიან დაცილებულია მზეს  
და დებულობს მისგან  $\frac{1}{9}$  იმ სიბოძის,  
რასაც დებულობს დედამიწა. რადგანაც მარსი  
გაცილებით მცირეა დედამიწაზე, ამიტომ  
თეორიით იგი ზედმეტად უნდა იყოს ვაცივე-  
ბული. აქამდის საკმარის გამოკვლეული არ  
არის მიზეზი მარსის ხმელეთების წითელი  
ფერისა. ზოგიერთი სწავლულების აზრით ეს  
იქიდან წარმოსდგება, რომ მის ნიადაგში  
ბლომით არის ერთ სიმეფე (Однокиш)

რკინისა, ხოლო თუ მართლა ეს ასეა, სჩანს  
სიციხლის ნასახიც არ ყოფილა მარსზე; თუ  
მარსზე მცენარეულობა იყოს, იგი ერთ სი-  
ჟავეს, ორ სიმეფედ გარდაქმნიდა, რომელსაც  
შავი ფერი ექნებოდა. გარნა თუ მცენარე-  
ულობა არ არის, არც ცხოველობა იქნება.

თუ მარსზე და სხვა პატარაპატარა ქვეყ-  
ნებზე—ასტეროიდებზე—სიციხლე არ არის,  
მაგიერთ იუპიტერზე სიციხლეს აღარ ექ-  
ობენ ზოგიერთები. უნდა ესთქვათ, რომ იგი  
უდიდესი პლანეტა მზის ციაგთა შორის,  
იგი ათას ორასჯერ მეტია დედამიწაზე. მაგ-  
რამ ამ ვებერთელა სიდიდესიან საშინელი  
მცირე სიმაგრე აქვს. მისი სიმაგრე ცოტა  
მეტია წყლის სიმაგრეზე ან, სხვანაირად რომ  
ვსთქვათ ხუთჯერ ნაკლებია მიწის სიმაგრეზე.  
ვარსკვლავთ მრიცხველები საზოგადოდ ფიქ-  
რობენ, რომ იგი ჯერ კიდევ არ გამაგრებუ-  
ლა და რომ იგი, თუ მთლად სითხეს არ  
წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში ცომის  
მსგავსი მანც არის. ბევრნი იმ დასკვნასაც  
იძლევიან, რომ იუპიტერი ჯერ კიდევ გარშე-  
მორტყმულია თხელი ნახევრად გახურებულ  
(მასით) ნივთიერებით. გარნა თუ ეს ესეა,  
იუპიტერზე ცხოვრება დღეს დღეობით შეუ-  
ძლებელია ამბობენ, რომ იგი შესაძლებელი  
შეიქნება შემდეგში იუპიტერი განედლება,  
გარსი გაუმაგრდება, დაიფარება მცენარეებით  
და მასთან ერთად ამოძრავდებიან ცხოველე-  
ბიცო. მაგრამ ამას რომ ლაპარაკობენ, ავიწ-  
დებათ რომ იუპიტერი ხუთჯერ უფრო შორ-  
საა მზეზე, ვიდრე დედამიწა, მაშასადამე ის  
სითბო, რომელსაც იგი დებულობს მზისაგან  
ძალიან მცირეა და რა გამოიწვევს სიცი-  
ხლეს მის გაცივებულ გულზე?

დანარჩენი პლანეტები უფრო ნაკლებ  
პირობებს იძლევიან სულიერი არსებისათვის  
საცხოვრებლად. სატურნი 70ი ჯერ მეტია დედა  
მიწაზე, მაგრამ მისი ნიადაგი წყალზე უთხესია ასე  
რომ ვარსკვლავთმრიცხველთა უმრავლესობა  
იმ აზრისაა, რომ იგი ჯერ ისევ ჰაერისებურ  
მდგომარეობაშია. გარნა ჯერ არავის უნახავს  
და არ იცის ისეთი ცხოველები, რომლებს

საცხოვრებლად საკმარისი იყოს მხოლოდ გაზისებური ნივთიერება.

არც ურანზე და ნებტუნზე შეიძლება იყოს სიცოცხლე. მათი სიმაგრე ისეთი მცირეა, რომ ვარსკვლავთ მრიცხველები გაზისებურ მდგომარეობაში მყოფ სხეულებად სთვლიან მათ. გარდა ამისა ძლიერ ცოტა სითბოს ლეზულობენ მზისაგან, რადგან ძლიერ შორს არიან მზეზე. წელიწადის დრონი მათზე ნამეტანი გრძელია. ურანი გარშემოუვლის მზეს 84 წ., ნებტენი—165. მაშასადამე თითოეული წელიწადის დრო ურანზე უდრის 21 ჩვენებურ წელიწადს, ხოლო ნებტენზე ჩვენებურ 41 წ. და 3 თვეს.

ნებტუნი — ერთი უშორეს პლანეტაგანია ჩვენი მზის სისტემისა და ამ უკანასკნელიდან დამოკიდებული ვიდრე დედამიწამდე ვერსად სიცოცხლეს ვერ ჰპოვებთ, გარდა დედამიწისა. არ უნდა გვიკვირდეს ეს გარემოება: სიცოცხლის პირობები მეტად რთულია, მრავალსახოვანია და ბევრი მათგანი არ არის დამოკიდებული ერთი მეორისაგან. გასაკვირვალა უფრო ის არის, რომ ეს რთული და თავისებური პირობების შერთება მაინც გვხვდება, ვიდრე ის რომ იგი გვხვდება მხოლოდ ერთჯერ.

მაგრამ ვსთქვათ არიან ქვეყნები, რომლებზედაც სიცოცხლის გასაღორძინებელ ყველა პირობებს ვხედავთ, განა ეს იმას ნიშნავს რომ იქ, იმ ქვეყნებზე, კიდევ არის სიცოცხლე? ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი უნდა მივცეთ. სიცოცხლე არ არის აუცილებელი შედეგი მოლეკულების ატომების სხვა და სხვა შეერთებისა. ცოცხალ და მკვდარ არსებათა შორის არის ძირითადი განსხვავება, რომელსაც ქიმია ვერასოდეს ვერ ახსნის, ვერ განსაზღვრავს, მისთვის რომ ელემენტარული შემადგენლობა სხეულისა არ იცვლება შემდეგ სიკვდილისა \*) არის უმაღლესი პრინციპი,

\*) ე. ი. მატერია იგივე რჩება და თუ მხოლოდ მატერიაშია სიცოცხლე, იგი ჯერ სულ არ უნდა ქრებოდეს და თუ გაქრა, უნდა დარჩეს მაინც სხეულის შემადგენელ ნაწილებში.

ვიდრე ნივთიერება და მატერია — თავისთავად მხოლოდ — ვერასოდეს ვერ წარმოშობს სიცოცხლეს. აი რატომ არ არის საკმარისი, ისა, რომ ვარკვლავსმრიცხველობამ გვიჩვენოს ქვეყნები, რომლებზედაც იმეკონებიან ყველა (კლიმატიური და მეტეოროლოგიური) პირობები არსებობისათვის, მისთვის რომ მივიღოთ იგინი დასახლებულ ქვეყნებად. იგინი მაინც დაუსახლებლები და უსიცოცხლოები იქნებიან, თუ შემოქმედს არ წარმოუთქვამს მისი შემოქმედური სიტყვა „იქმენინ“. მატერია ვერ აწარმოებს სიცოცხლეს ისე, როგორც ტვინი აზრს. ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ გავგებთ სცხოვრობენ თუ არა გონიერი არსებები ვარსკვლავებზე, რომლებზედაც ამისთვის ყველა საჭირო პირობები იპოვებიან, თუ საგანგებო განცხადებამ არ გვაუწყა ჩვენ ამაზე, მიტომ რომ მათი სიცოცხლისადმი გამომწვევი „იქმენინ“ არის თავისუფალი მოქმედება ყოველად ძლიერისა.

თანამედროვე მეცნიერებამ არ იცის არა თუ დასახლებული ქვეყნები, არამე ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც წარმოადგენენ ამისთვის საჭირო პირობებს. აქედგან მაინც და მაინც ის არ სჩანს, რომ იგინი არ არიან. მეცნიერებას არ შეუღია არც მიღება და არც უარყოფა მათი არსებობისა. სარწმუნოება ხომ არ სწყვეტს საკითხს შესახებ დასახლებულ ქვეყანათა მრავალრიცხოვანობისა? ამბობენ, ქრისტეს განხორციელება ქვეყანაზე, არ ეთანხმება დასახლებულ ქვეყნებთა სიმრავლესო. ესეთი დამტკიცება უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. დწერთი განხორციელდა ჩვენ შორის, ეს ქეშმარიტებაა. მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ განხორციელებას სხვა ქვეყნებთან, ჩვენ ეს არ ვიცით. იყენენ თუ არა ამ ქვეყნების მკვიდრნი (თუ არიან ესეთნი) შექმნილი იმ მდგომარეობაში, რომელსაც ღვთისმეტყველება უწოდებს წმიდა ბუნების მდგომარეობად, თუ იგინი შექმნილნი იყენენ შეუბღალავი ბუნებით? ემზადებიან თუ არა იგინი აწყყო ცხოვრებით მომავალ სულიერ ცხოვრებისათვის? შეინახეს თუ არა იმათ

პირველი ყოფილი უმანკოება თუ დაეცენ და უკანასკნელ შემთხვევაში მიუტევა თუ არა მათ ღმერთმა და როგორ? განცხადებული აქვთ თუ არა მათ საიდუმლოება განხორციელებისა და თანაზიარნი არიან თუ არა გოლგოთის მსხვერპლისა? თუ იგინი განრისხულნი არიან, როგორც დაცემული ანგელოსები? ვერც ერთ ამ საკითხთაგანს ადამიანი ვერ ახსნის თავისთავად, თავის ძალებით. ვარსკვლავთმრიცხველობა ვერასოდეს ვერ მისცემს პასუხს ამ საკითხებს, განცხადება სდუმს მათზე. უშაღლესი იცავს მათ საიდუმლოებაში, როცა გამოჩნდება ნათელი მერმისა საუკუნისა, როცა ჩვენ ვიხილავთ უფალს პირის-პირ, როცა ქეშმარიტება შიშვლად წარმოუდგება ჩვენ აღტყინებულ სულს, მაშინ ჩვენ წინ გადიშლება ეს საიდუმლოებაც.

დავიწყებული.

## საზოგადოების საუშრადღებო!

როგორც ვუწყით, ჩვენი მამა-ბაბური იმერული გალობა თან და თან ქრება და აღვიღს უთქობს უცხო გალობას, ხშირად ვხედავთ, რომ სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედება უგემურად და აქრელებულათ სრულდება; ცხადია, რომ ამით სამღვდლოება დიდათ შეურაცხყოფს თავის სამწყსოს სარწმუნოებრივ გრძობას, მაგრამ ამაში დამნაშავე რამდენათ სამღვდლოებაა, იმდენათ და უფრო მეტად მისი სამწყსოა, რომელიც გულ-გრილად უცქერის და ეკიდება ყოველ-გვარ, თუნდ უკუღმართ, ცვლილებასაც. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იმერული გალობა თავის განსაკუთრებულ მელოდიით, მრავალ-ფეროვნებით და სიმშვენიერით სრულებითაც არ ჩამოუვარდება არც ერთ ხალხთა გალობას და მისდამი გულცივობა მომაკვდინებელ ცოდვით უნდა ჩაეთვალოს ყველას, ვისაც მამა-ბაბათაგან გადმოცემული განძი რაიმეთ მიი-

ჩნია და ვისაც მათდამი სიყვარული გულიდან არ წარხოცია ცოტა და გვიკლია, და „თითზე კბენანი“ გვიანლა იქნება; იმერული გალობის მცოდნენი მოისპობიან და მხოლოდ ტკბილი მოგონებალა დარჩება ჩვენ საზოგადოებას. ამიტომ მამა-ბაბულ გალობის მოყვარულთა წრემ, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის სობორის კრებულის თაოსნობით განიძრახა გახსნას ყველასათვის ხელ მისწვლამი, უფასო სასწავლებელი იმერული გალობისა ზემოხსენებულ სობორისთან და მიიღო ამ საქმეში დაუვიწყარი დახმარება იმერეთის საეპარქიო სამრევლო შკოლათა საბჭოსაგან და მტკიცე თანაგრძნობა და მალალი ლოცვა—კურთხევა ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისა. განძრახულია, ასწავლონ გალობა ნოტიო და უნოტოთ და მოამზადონ გალობის გასავრცელებლად ლოტბარები. სწავლა დაიწყება მომავალი წლის იანვრიდან საზოგადოება, იმედი, თანაგრძნობით შეხვედება ამ დაწყებულებას და აღმოუჩენს მას ზნეობრივ დახმარებას. გალობის შესწავლის მსურველთ შეუძლიათ ეხლავე ჩაეწერონ გალობის შკოლაში.

## იმაერთი მკარაჲის სამღვდლოების საუშრადღებო!

1901 წელში იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრებამ მოგვანდო მე, მღვდლების ვლ. აბრამიშვილს, აბ. იაკობაშვილს და ვლ. კაპანაძეს საფუტკრის მომართვა ქალის მთაში. თანხათ მოგვცა 1000 მ. იმერეთის საეპარქიო სანთლის ზაოდიდამ. უნდა აღვიარო, რომ ზოგიერთთა საპატიო მიზეზთა გამო და ზოგიც ჩვენი დაუდევნელობით ვერაფერი ვერ გავაკეთეთ და, კიდევ, რამ გავგეკეთებია საფუტკრეზე 1904—1905 წლებში არეულობის დროს სულ დაიდუბებოდა ახალთაობის კაცთა-ავაზაკთაგან, როგორც ეს მოუვიდა ყარაშან ჩხეიძის საფუტკრეს ჩიხის მთაში, ხოლო ჩვენ, ამხანაგებს დიდი ზარალი დაგვატყდებოდა თავს. ჩვენც მოვიპოვეთ რამოდენ

ნიმე მისი ფუტკარი, გამოვიწერეთ სხვადასხვა სისტემის კოლოფები 270 მანეთისა, რაიცა უკვე ზარლათ დაგვატყდა. რადგან არაფერი გაკეთდა, 1000 მ. უკან მოითხოვა სამღვდელ-ლოებაჲ. ამისათვის ორმა ამხანაგმა და სახელ-ლობ მე და ბ. აბრამიშვილმა წარვადგინეთ სადაც ჯერ იყო 55 მ. მე, ე. ი. 350 მან. ღარჩა შეუტანელი 44 მ.

უკანასკნელ კრებებზე იყო ყოველთვის ერთი აყალ-მყალი და ლანძღვა გინება ჩემ წინააღმდეგ, ვითომდა რა არი ეს 445 მან. მე უნდა დამეხარჯოს და აღარ ვაბრუნებდე უკან. წარსულ 1907 წელში ნოემბრის თვეში მე წარვადგინე დაწერილებითი ანგარიში ხსენებულის ფულის შესახებ, თუ ვის ხელში რა იყო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ რევიზიონი კომისიამ, თუ თავმჯდომარემ, დებუტატთა კრებას არ გამოუჩინა ესე ვითარი, რომელიც შეცდომაში შევიდა და ჩემ წინააღმდეგ დაადგინა შეუფერებელი მსჯავრი და ზოგიერთთა მყვირალა დებუტატებს აუშალა ლანძღვა--გინების საღერღელი. რადგან მე კრებაზე არ ვიყავი, რომ სიმართლე გამეგებინებია კრებისათვის მივმართე ყოვლად საქმდღელო იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, რომ ამ საქმის შესახებ გამოძიება დაენიშნა. საქმე მიენლო ერთ-ერთ ბლადოჩინს და აი რა აღმოჩნდა; დეკანოზს ი. წერეთელს დაუბრუნებია 305 მ. მლ. აბრამიშვილს 250 მ. მლ. ვლ. კაპანაძეზე ყოფილა გადაუხდელი 155 მ., იაკობაშვილზე 64 მ., კოლოფები სხვადასხვა სისტემის აბრამიშვილის და იაკობაშვილისგან ნაყიდი 276 მ. ამ 276 მანეთიღამ თვითოულ ამხანაგს შეხვდა. წერეთელს 64 და დანარჩენთ 212 მ. რომ ჩემი წარდგენილი ანგარიში არ დაემალათ კრებისათვის. ეხლა ფული დიდი ხნის გადახდილი იქნება და მეც ავტოდობი დაუმსახურებელი ცილის წამებას. ასეთ შეცდომაში შედის ხან დახან დებუტატთა კრება დაუფიქრებელი და წინდაუხედავი მოქმედებით და ყოვლად სამღვდელოც შეცდომაში შეყავს.

როგორც დაინახავს მკითხველი სამღვდელ-ლოება მხოლოდ კოლოფების ფასი ყოფილა

ღარჩენილი და არა 445 მ. როგორც ეს ზოგერთებს ეგონათ.

დეკანოზი იოსებ წერეთელი.

ღარდამოხსნა იესო ქრისტესი\*)

(დიდი აღმოჩენა დღევანდელის მეცნიერებისა რომელმაც დამტკიცა იესო ქრისტეს ღარდამოხსნის სინამდვილე; ეს ღარდამოხსნა დატულია ამ ჟამად იტალიის ქალაქს ტურინს).

1898 წელს იტალიის ქალაქს ტურინში გაართული იყო გამოფენა წმიდა და საღვთო საგნებისა. მრავალ გვარ სხვადასხვა საგანთა და ხელოვნების ნაწარმოებთა შორის, რომელიც იმ გამოფენაზედ იყო შეგროვილი საზოგადოების ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ტურინის შესანიშნავმა ღარდამოხსნამ.

ვერობაში ამ ჟამად 40-მდე ღარდამოხსნა ანუ სუღარი იესო ქრისტესი და თითოეულ მათგანისას ამბობენ, ნამდვილიაო, მაგრამ არც ერთზედ არავითარი გამოსახულება არ არის. მხოლოდ ტურინის ღარდამოხსნაზეა გამოსახულება იესო ქრისტესი. ამბობენ, რომ ბიზანტიაშიაც იყო დაცული ღარდამოხსნა, რომელზედაც ემჩნეოდა გამოსახულება იესო ქრისტესიო, მაგრამ იგი დიდი ხანია აღარსადასჩანს. რაიცა შეეხება ბეზარსონის ღარდამოხსნას, რომელიც დაიკარგა საფრანგეთის პირელ რევოლიუციის დროს. ეგ ღარდამოხსნა

\*) ეს სტატია დაბეჭდილია 1902 წ. გაზ. „ივერიის“ მე-277 ნომერში. გამოგვაქვს იგი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც ფრიად შესანიშნავი, მუდამ სახსოვარი და ინტერეს მოუკლებელი—ფაქტი, რომელიც ერთხელ კიდევ ამტკებს დემოკრატის ქვენათ მყოფობას. ვწუხვართ, რომ ამა თანავე ვერ ვადმოგვაქვს ის ხახატებო, რომლებითაც დასურათებულია ეს სტატია. ვეცდებოთ შემდეგ შევავსოთ ეს ნაკლია. შესანიშნავია, რომ პირისახის მოხაზულობა და თმა-წვერის შეხედულება ისეთივეა, როგორიც აღწერილია პლინის მკირის წერილში რომის სენატორისადმი. და პუბლი ლენდენისა კისოსადმი (ჟენასქნელი იხ. „შირ. საქმეები“ № 18).

პირია ტურინის გარდამოსხნისა; ეგ პირი გადულიათ 1375 წელს; ამ პირიდან გადულიათ კიდევ სხვა პირი. ამ მეორედ გადაღებულს პირს დაუკვირდა სამეცნიერო კრიტიკა და დაასკვნა, რომ ეგ პირი ტურინის გარდამოსხნიდან არის ნამდვილად გადაღებულიო.

ორი გარდამოსხნა კიდევ ცნობილი გამოსახულებითა. ერთი ლისაბონს ახლო, რომელზედაც სურათი მეტად სასაცილოა და რომელიც არას გზით არ შეიძლება ნამდვილად გარდამოსხნად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე პაწაწინა, სიგრძით სულ მშ სანტიმეტრი, რომელიც პარიზის ნაციონალურს ბიბლიოტეკას ეკუთვნის და რომელიც კვალად დაპატარავებით გადაღებული პირია ბეზანსონის გარდამოსხნისა.

ტურინის გარდამოსხნა გაჩნდა ევროპაში 1353 წელს. საიდან და როგორ გაჩნდა, არავინ იცის და სიბნელით არის მოცული ეს ამბავი. ზოგნი ამბობდნენ, ეგ გარდამოსხნა განგებ გაკეთებულიაო, ზოგნი-კი, პირ-იქით, ამტკიცებდნენ, რომ ეგ ის გარდამოსხნაა, რომელიც ინახებოდა ბიზანტიის იმპერატორების სამლოცველოში და რომელზედაც; როგორც ტურინისაზედ იყო გამოსახული იესო ქრისტეო. ეს გარდამოსხნა მიაჩნდათ ნამდვილ იმ სუღარათ, რომელშიაც შეახვიეს იესო ქრისტე ჯვარიდამადამოსხნის შემდეგ.

ის გარდამოსხნა, რომელსაც სახელად ტურინის გარდამოსხნა ეწოდება, პირველად ჩხდება ისტორიაში, როგორც საჩუქარი და შეწირულება, რომელიც ძიუძღვებია ეოფრუა 1-ლს დე-მარინის, სავოიას მფლობელს, ლირეის ეკლესიისათვის. ეს ეკლესია თვით იმ მფლობელს აღუშენებია 1353 წელს. 1357 წელს ლირეის გარდამოსხნა დიდს სიწმინდედ არის მიჩნეული და ხალხი მხურვალედ აღესრულეს. ეს თავყანის-ცემა არ მოსწონს დე პუტიეს, ტროის ეპისკოპოსს, ნამდვილი გარდამოსხნა არ არის, არ ვიცით, საიდან გაჩნდაო. ამიტომ ეპისკოპოსმა აუკრძალა ეკლესიას, მაგ გარდამოსხნას ნუ აჩვენებთ ხალხსაო, გარნა ლირეის ეკლესიის

კრებული არ ემორჩილება ეპისკოპოსის ბრძანებას. 1389 წელს ტროის მეორე ეპისკოპოსმა—პიერ დე-სიზმა ხელახლად აღკრძალა ამ გარდამოსხნის თავყანის-ცემა და თავის მემუარებში დასწერა: 34 წლის შემდეგ მას უკან, რაც პირველად ეპ. პუტიემ დაუშალა საეკლესიო კრებულს იმ გარდამოსხნის გამოტანა ხალხის საჩვენებლად, ერთი მხატვარი გამოტყდა და მითხრა, რომ ლირეის გარდამოსხნა ჩემი დახატულიაო. მაგრამ არც ამ პიერ დე-სიზის მემუარებში და არც იმ დროის სხვა ისტორიულ საბუთებში არ მოიპოვება წერილით დამტკიცება იმისი, რომ იმ მხატვარს დაეხატოს ეგ გარდამოსხნა; არც რამ განაჩენი სჩანს ამ საგნის შესახებ და ამიტომ სრულიად ეკარგება ფასი დე-სიზის სიტყვებს. ავინიონის პაპმა კლიმენტ მე-VII-მ, თუშცა ხელ-აღებით არ აუკრძალა ლირეის ეკლესიის კრებულს, ნუ აჩვენებთ ხალხს მაგ გარდამოსხნასაო, გარნა უბრძანა, როცა გამოიტანოთ ხალხის საჩვენებლად, აუასენით ხოლომე მლოცველოთ, რომ ეგ გარდამოსხნა ნამდვილი სუღარა არ არის ქრისტესი, არამედ მხოლოდ სურათია, მისი გამოხატველიო. რამდენიმე ხნის შემდეგ, სავოის მფლობელთ გარდამოსხნა გამოსწირეს ლირეის, ეკლესიის და გადიტანეს შამბერის, ხოლო შემდეგ—ტურინს, საცა დაკრძალულია დღესაც.

ეს გარდამოსხნა წარმოადგენს სელის ქსოვილს და აქვს სიგრძით 4.10 მეტრი\*), ხოლო სიგანით 1.10 მეტრი ქსოვილი ჩაყვითლებულია დიდხანს შენახვით და ძლიერ დაზიანებულია ცეცხლის გაჩენის დროს 1532 წელს. დაღაქავეებულია სისხლითაც სწორედ იქ, საცა წყლულნი ქრისტესნი დაუფარავს.

გარდამოსხნაზედ ცხადად ემჩნევა აჩრდილივით ორი მკრთალი სურათი ადამიანის გვამისა, თავით ერთმანეთს მიბჯენილი. ერთი პირისა და მეორე ზურგის მხრისა, რაიცა აქვე დახატულ სურათზე ცხადად სჩანს.\*\*\*) ჰგონებენ და მართლა ასეც უნდა ყოფილიყო, რომ გვამი ქრისტესი დაუსვენდებოდა ამ ქსო-

\*) მეტრი ჩვენებული ადულია.

\*\*) უკანლობის გამო სურათს ვერ ვსტამბავთ.

ვილის ნახევარზედ, ხოლო მეორე ნახევარი გადმოუკეციათ თავთან და ზემოდან წაუბურათ. ამ ზემოდან წაბურულს ქსოვილს დასჩნევია პირ აღმა მდებარის იესო ქრისტეს გვამის სურათი, ხოლო ძირს გაშლილს—ზურგისა და კეფისა. თავის აქეთ იქითა მხარეს და მუხლებთან სჩანს ნაკეცები ქსოვილისა.

ზემოხსენებულ გამოფენის დროს, 1998 წელს ფოტოგრაფიით გადიდეს ამ გარდამოხსნის სურათი. გადაღების დროს, აღმოჩნდა ყოველად-შესანიშნავი ამბავი, სახელდობრ ისა, რომ ფოტოგრაფიის შუშაზედ სწორედ გამოჩნდა ქსოვილის ნახატი (პოზიტივი). მაშინ როდესაც ფოტოგრაფიის წესისაებრ, უკუღმა უნდა გამოჩენილიყო. როგორც სარკეში ჩნდება სახე ადამიანისა უკუღმა (ნეგატივი)\*. მაშასადამე, თვით ნახატი ქსოვილზედ ნეგატივი ყოფილა; თორემ უამისოდ ფოტოგრაფიის სურათზედ პოზიტივი არ გადიხატებოდა პირველისავე გადახატვის დროს,—უსათუოდ ნეგატივი უნდა გამოსულიყო.

ამ გარემოებამ უცბად შეარყია და გაჰფანტა ის ეჭვი, რომელიც ამ გარდამოხსნის შესახებ არსებობდა შუა საუკუნეთაგან დაწყებული, რომ ვითომ იგი ნამდვილად ის ქსოვილი არ არის, რომელშიაც ქრისტე იყო შებურვილიო. ტურინის გარდამოხსნაზედ ნამდვილი, ხოლო უკუღმა აღბეჭდილი, სურათი რომ არ ყოფილიყო იესო ქრისტეს გვამისა, არამედ ჩვეულებრივი სურათი ყოფილიყო, განა რა მიზეზით უნდა უარ ეყო მხატვარს გადმოცემა და დაეხატა ლახვრით ქმნილი წყლული ქრისტესი გულის ბოყვის მარცხენა მხარეს და არა მარჯვენასა? განა რად

\*) ფოტოგრაფი რომ პირველად გადიდეს ადამიანს, შუშაზედ ისე-კი არ გამოვა, როგორც არა ის, არამედ მარჯვენა მხარე მარცხენია აქეს, მარცხენა მარჯვენია. ეს პირველი გადაღებული ნეგატივია. ამ ნეგატივიდან კიდევ გადიდებს ფოტოგრაფი სურათს და მაშინ გასწორდება სურათი, რადგან ახლა მარჯვენა მხარე სწორედ მარჯვენა მთვა და მარცხენა მარცხენა, ესე იგი გამოვა ნამდვილი სურათი ანუ პოზიტივი.

უნდა დაეხატა ქრისტე სრულიად შიშველი, შოლტით გვეშული ადგილები ზურგზედ გამოესახა თვით ულაგო ალაგისაც, ხოლო წყლული სამსქვალთაგან მარტო ერთს ხელზედ გამოესახნა, მეორეზედ-კი არა და მეორე წყლული პირველის ხელით დაეფარნა, დაეჩრდილნა?! გარდამოხსნის გამოსახულება რომ მხატვრის ხელით იყოს ნაკეთები, იგი მსგავსად მეორე მხატვრისა, რომელსაც დაუხატნია ბეზანსონის გარდამოხსნის პირი, ეცდებოდა ისე დაეხატა ხელები, რომ ორივეზედ გამოჩენიყო წყლულნი, ქმნილნი სამსქვალთაგან. ამას გარდა, დასჯერდებოდა მხოლოდ პირ-აღმა მდებარის გვამის დახატვისა და პირქვე მდებარეს, ზურგს აღარ დახატავდა.

ამ გვარმა ეჭვებმა და შეფიქრებებამ აღძრა ცნობის-მოყვარეობა ყველასი, აალაპარაკა და აამღვლვარა გონება მთლად ევროპის მეცნიერთა, მსწავლულთა და უსწავლელთა. 1900 წელს ეს მღვლვარება ფიქრისა და გონებისათვის იჩენს პარიზის წარწერათა აკადემიაში, ხოლო ამა 1902 წელს ამ საგნის კვლევადიებას შეუდგა პარიზის სამეცნიერო აკადემია.

სწორედ არა-ჩვეულებრივი, მაგრამ საგულისხმიერო და გულს ღრმად ჩამწვდენი სანახაობაა: მეცნიერება სცდილობს თავისის სასტიკის, გარნა კაცობრივის ღონისძიებით, დაიცვას საქრისტიანო გარდმოცემა და დაამტკიცოს სინამდვილე ერთის უუძვირფასესის სიწმინდისა, რომელიც დიდი ხანია დაკარგული იყო.

აი რა ვიციოთ სახარებიდან იესო ქრისტეს არდაგისა: სამი უფრო ძველი სახარება ამბობს, რომ იოსებ არიმათიელმა მიიღო ნება-რთვა ჩამოეხსნა ჯვრიდამ იესო, იყიდა მისთვის არდაგი, შეჰკრაგნა გვამი მისი არდაგითა მით და დასდვა ახალსა საფლავსა. ქრისტეს დასაფლავების დაესწრნენ დედანი მენელსაცხებლენი. დედანი ესე დაბრუნდნენ სახლში დასაფლავების შემდეგ და დაამზადეს საკმეველი სუნნელი და ნელ-საცხებელი. შაბათი იგი

დალაიღუმეს მცნებისა მისთვის, ხოლო კვირა დილით, განთიადისას, კვლავ მივიდნენ საფლავსა სუნნელითა და ნელ-საცხებლით შემსამუსრავად იესოს გვამისა, მაგრამ საფლავი ცარიელი იყო უკვე.

მეოთხე სახარება-კი (იოანესაგან) ამბობს, რომ იოსებ არიმათიელმა მიიღო ნება ქრისტეს დაკრძალვისა და დასდვა გვამი მისი საფლავსა ნიკოდიმოსის შემწეობით. ნიკოდიმოსმა თან მოიტანა ქრისტეს დასაფლავებისათვის ძვირფასი აღრეული მურისა და ალოისა. იოსებმა და ნიკოდიმოსმა სცხეს ნელ-საცხებელი გვამსა და შეახვიეს არდაგითა. მესამე დღეს, როცა გვამი იესოსი აღარ იყო საფლავში, აღმოჩნდა იქ მხოლოდ ტილონი (pandelettes), უწესოდ მდებარენი. სუდარი-კი, რომელიც იყო თავსა მისსა (le sindon ბერძნულად სონდარიონ<sup>\*</sup>), „არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადვილსა“.

მეცნიერებმა შეუდარეს ერთმანეთს თქმული სამის პირველისა და მეოთხე სახარებისა და დაამყარეს მტკიცედ ის გარემოება, რომ იესო ქრისტე იოსებ არიმათიელს დაუსაფლავებია აჩქარებით და არა საბოლოოდ, რომ პასექის დღესასწაულის მოახლოვებას იძულებული გაუხდია იოსებიცა და ნიკოდიმოსიც შემურვა იესო ქრისტეს გვამისა ნელ-საცხებლითა და, მაშასადამე, განზანაცუა მისი გადაედოთ პასექის შემდგომ დღისათვის. მანამდე-კი სახელდახელოდ შეუხვევიათ გვამი იესოსი არდაგითა ანუ სუდარით (sindon) და თან უხმარიით სუნნელეზანიცა.

როგორ უხმარიით ეგ სუნნელეზანი, ამისას სახარება იოანესი არას ამბობს, მაგრამ ცხადია, რომ ეგ სუნნელეზანი არ წაუსვამთ ქრისტეს გვამისათვის. ასე რომ ყოფილიყო, მენულ-საცხებლენი დედანი, რომელნიც დაესწრენ დასაფლავებას, აღარ მოიტანდნენ ხელ-მეორედ პასექის მეორე დღესკვე, კვირა დილით, ნელ-საცხებლთა ქრისტეს გვამის შესამურავად. და აი სწორედ ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საბოლოოდ დასაფლავება იესო ქრისტესი ვერ

მოხდებოდა პარასკევს: მაშინ არ უცხიათ გვამისათვის სუნნელნი, არ შეუმურავთ გვამი და, მაშასადამე, არც განუბანიათ; ხოლო, ჩვეულებისამებრ, ჯერ უნდა განებანათ გვამი და მერე ეცხიათ სუნნელნი და შეემურვათა.

როგორ იყო შეხვეული გვამი იესოსი არდაგითა, ამას სახარება დაწვრილებით არ გვიხსნის, მაგრამ იოანეს სახარებაში ნათქვამია, რომ არდაგი ანუ სუდარა (sindon) ეფარა თავსა მისსა და რომ ეს სახურავი ჰნახეს აღდგომის შემდეგ ერთად შეკეცილ-შეხვეული და კუნჭულში მიდებული. ცხადია, მაშ, რომ ეგ სახურავი, რომელიც პირზედ ეფარა იესოსს, პატარა ხელსახოცი კი არ იყო; როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ, არამედ მოზრდილი ტილო, გრძელის ხალიჩის ოდენი.

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ახლანდელი საარქეოლოგიო გამოკვლევანი გაიეტისა; გაიეტმა შარშან შეისწავლა ძველის ძველი საფლავნი ებრაელთა და ჰპოვა მათში არა ერთი და ორი ნიმუში ქსოვილისა. რომელიც საბურავად უხმარიით ძველად ყველაზედ უფრო საკვირველი და საოცარი ის არის, რომ ეს საბურავნი სწორედ იმ ზომისანია, რა ზომისაც არის ტურინის არდაგი და ხმარებითაც სწორედ ისე უხმარიით, როგორც ყოფილა ხმარებული არდაგი ქრისტესი, ესე იგი მიცვალებულის გვამი უსვენებით ქსოვილის ერთს ბოლოზედ, ხოლო მეორე ბოლო თავთან გადმოუკეციათ და ვადუფარებით ზემოდან.

ამ სახით, სახარება გვეუბნევა, რომ გვამი ქრისტესი შეხვეული იყო არდაგითა. რომელსაც წაცხებული ჰქონდა სუნნელეზანი; არქეოლოგია გვასწავებს, რომ ის სუდარანი. რომელსაც ხმარობდნენ ებრაელნი, სწორედ იმ ზომისაა და სწორედ ისე ჰხმარობდნენ, როგორც ტურინის არდაგია ნახმარები; ახლანი ფიზიკა-ქიმიური გამოკვლევანი ამტკიცებენ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომ შეიძლება გადავიდეს და აღიბეჭდოს ადამიანის გვამი იმ არდაგზე, რომელსაც წაცხებული აქვს აღნარევი ალოისა და ზეთისა, თუ გვამი

<sup>\*</sup> ისევე ჩვენებური სუდარა.

შეხვეულია არდავში განუბანელი ჰირის ოფლისაგან სულის აღმოტყვევების უამს. შეიძლება აღიბეჭდოს განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, როცა გვამს, სივდილის წინად, რამდენისამე საათის განმავლობაში აცხუნებს ცხარე მზე. მით უფრო აღიბეჭდებოდა გვამი იესოსი არდავზე, რომ ამ გვამზედ იმოქმედა ისეთმა საშინელმა ელვა ქუხალმა, რომელიც ასტყდა, როგორც ვიციტ სწორედ იესოს სიკვდილის უამსა.

მაშ, როგორ აღიბეჭდა გვამი იესოსი არდავზედა? აი როგორ გვიხსნის ამის პრებატორი ზოოლოგიისა სორბონში, მეცნიერი ვინიონი\*, რომელსაც უმუშავნია ამ საგანზედ საპოლიტენიკო სკოლის რეპერტიტორ კოლ-ზონთანა და სორბონის პროფესორ ივ. დელაჟთან ერთად.

ზოგიერთ საგანსაო, — ამოზს ვინიონი — იმისთანას, რომელიც ნელ ნელა განიშორებ? ორთქლს, ისეთი თვისება აქვს, — რომ შეიძლება აღიბეჭდოს სიბნელეში ლითონის თხელს ფირფიტაზედ. ასეთია საგნები ახლად-გაწმენდილის ცინკისა, ანუ ცინკის ფხვნილ მოყრილი საგნები და ბევრი კი ჯერ სხვა. შეიძლება აღიბეჭდოს ისეთი საგნებაცა, რომელიც განიშორებს ამონიაკალურ ორთქლს\*) ეს ორთქლი მოქმედობს იმ ქსოვილზედ, რომელსაც შეუხვამს ნარევი ზეთისა და ალოისა. ეს აღვილად მტკიცდება ცდითაცა. ჰიპსის ხელს რომ ჩავაცვათ შევდური ხელთათმანი, ამონიაკალურის ნივთიერებით გაუდენთილი და ზედ გადავაფაროთ ქსოვილი ზეთითა და ალოით წასმული, ისეთივე ნასახი გადავა ზედ, როგორც ქრისტეს არდავზეა, ესე იგი მუქი-წითელი ფერისა და იმგვარისავე მოხაზულობითა, როგორც იქ არის. ეს ცდა ამტკიცებს, ვინიონის აზრით, იმ მოსაზრებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება ისტორიის მოწმობასაც; სახელდობრ, იმ მოსაზრებას, რომ გვამი ქრისტესი, ჯვრიდან ჩამოღებული და საჩქაროდ შეხვეული, განუბანელი ჰირის ოფლისაგან, ზეთითა და ალოით გაუდენთილ არდავში,

აღიბეჭდა, ამონიაკალურ ორთქლის წყალობით, და ეს აღნაბეჭდი დაყოლ იქნა ისე მშვენივრად დღემდე ტურინის გარდამოხსნის ქსოვილზედა.

რომ ეს საბურავი წარმოადგენს ქრისტეს სიხეს და არა სხვისას, ამას ამტკიცებს ის გარემოებანი, რომელიც მოჰხდა მხოლოდ ქრისტეს დასაფლავების დროს. ასე აღიბეჭდვისათვის უთუოდ საჭირო იყო, რომ გვამი განუბანელი ყოფილიყო, რომ შეხვეული ყოფილიყო არა უბრალო, არამედ ალოითა და ზეთ ცხებულ არდავში, რომ გვამი დადებულყო ბნელს გამოქვავულში და რომ იგი გვამი იქ დიდხანს არ დარჩენილიყო, რადგან უამისოდ ხრწნა გვამისა გააქრობდა აღნაბეჭდსა. ყოველივე ეს გარემოება-კი მოჰხდა მხოლოდ მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს დასაფლავების დროს. სხვა არავინ დასაფლავებულა ამ გარემოებათა შორის. ხოლოთ თვით აღიბეჭდილი მისი შოლტიტ გვემული ტანი, მისნი წყლულნი, ლახვარით ნავმირევი და სამსჯვალთაგან ქნილი და დასასრულ სისხლის ლაქნი უეჭველ ჰყოფენ, რომ ტურინის გარდამოხსნა ნამდვილი და ქრისტიანული არდავია ქრისტესი. თუ წინად ექვსა ჰბადავდა ეს გარდამოხსნა, ჰბადავდა იმითომ, რომ მაშინ არ შეეძლოთ მიხვედრილიყვნენ, რას ჰნიშნავდა ზედ აღიბეჭდილი უკუღმა გამოსული ნეგატივეური გამოსახულება. არ შეეძლოთ მიხვედარიყვნენ, რადგან ფოტოგრაფიული ხელოვნება არ იყო ჯერ მაშინ მოგონილი. ამისთანა გამოსახულება მთელის მის ს, რეალურ თავ-ზარ დამცემის დაწვრილებითა. შეუძლიან აიღოს მხოლოდ ფოტოგრაფიამ; ვერაფერს ამისთანას ვერ დაჰხატავდა, ვერ ვადიდებდა ტილოზედ მხატვარი, მერე ისიც ნაკლებად ცნობილი შუასაუკუნეთა მხატვარი, როცა ანატომია დღევანდელ სიმალეზედ არ იდგა.

მაგალითად, მარცხენა ფეხი გამოსახულების ზედა-პირისა ოდნავ მოკაკულია. ამასვე ვხედავთ აღნაბეჭდის ქვედა პირზედაც იქ, საცა მუხლის სხსარიცა ეს მუხლის სხსარი რამდენისამე მილიმეტრით მალაა, ვიდრე სა-

\*) ნიშნადურ ნარევი.

ლსარი მარჯვენა მუხლისა. ამ მცირედს მოკაცულობას ფეხისას გამოუწვევია რაოდენად მე ტანისა და თავის გადახრილობა მარჯვენა. ამ გადახრილობას შეესაბამება ასეთივე გადახრილობა ზედა-პირის გამოსახულებისა. განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ გადახრილობას აქტივებს ზედა-პირის გამოსახულებაზედ აღბეჭდილ ხელების მდგომარეობა: მარჯვენა ხელი ტანის დახრის გამო მარჯვენა კოტათი უფრო ძირს არის დაშვებული, ვიდრე მარცხენა ხელი, რის გამოც თითები ხელისა შესამჩნევად დაბლაა და შორსაც არის ტანის ზემოხსენებულ ხაზიდგან, ვიდრე მარცხენა ხელი. ეს გარემოება სრულიად აბათილებს აზრს სიყალბისას: მხატვარი, რომელსაც ასეთის სისწორით და გულმოდგინებით შეუძლიან ხატვა, ასეთს უცნაურს შეცდომას არ მოიქმედებდა და არ დახატავდა ასე შეუსაბამოდ გვამის ზედა და ქვედა პირს.

ამ გვარადაო,—დასკვნის ვინიონი,—თუ დღემდე იგივეობა ტურინისა და ბიზანტიის ნადილის გარდამოსხნისა, რომელზედაც ემჩნეოდა გამოსახული ქრისტე, საფიქრებელი და საექვე იყო, ახლა, ამ გამოკვლევის შემდეგ. ეგ იგივეობა ყოველისავე ექვს გარეშეა

დე ბურგად ლა დარდი, რედაქტორი სამეცნიერო ჟურნალისა „იქს სხივები“, ამბობს, რომ გამოკვლევა ვინიონისა, კოლზონისა და დელაიისა ისე ცხად-ჰყოფს საგანს, რომ ერთი იოტის ოდენა ეჭვი აღარა რჩება მეისტორიეთა ამქრისათვისაო. თავის მხრითაც დასძენს ეს მსწავლული ამ გამოკვლევას რამდენსავე მოსაზრებას, რომელიც არკვევს ქრისტეს გამოსახულების ზოგიერთ საგანგებო თვისებას ტურინის გარდამოსხნაზედ. ამ მოსაზრებათა წყალობით აუხსნელი აღარა რჩება არც ერთი წვლილი და ყოველის უეჭველობით მტკიცდება მისი სინამდვილე.

აი, მაგ., იესო ქრისტეს გვამის ზედა პირის გამოსახულება ტურინის გარდამოსხნაზედ ბერს აოცებს თავისი მეტისმეტ სიგამბდრითა და უსიკოცლობით, მაშინ, როდესაც ქვედა-პირი, ანუ ზურვის მხარე, წარ-

მოდგენს მშვენიერს და ჯან-ლონით საესე გვამს 30 წლის კაცისას. ცხადად ეტყობა, რომ ეს არის ახლა მოუსპიათ თავისუფალი ცხოვრება ამ კაცისათვისაო, რომელსაც სრულებით არ ემჩნევა, რომ მოღლილი და მოქაცული იყოს ხანგრძლივის დაპატიმრებით ციხეში \*). ნამდვილად კი ეს ორი ესდენ განსხვავებული აღნაბეჭდი უეჭველია ერთისა და იმავე გვამისა, რადგან პოზა ერთისა და მეორისა ანატომიურის ყოველის დაწვრილებით შეესაბამება ერთიმეორეს.

ლა დარდი დაწვრილებით განიხილავს გვამის ზედა-პირის გამოსახულებას ფეხების სურათითურთ, რომელთაც ჯოხების სახე აქვთ (როგორცა სთქვა მე-XVIII საუკუნის ერთმა აბბატმა) და იმ აზრს დაასკვნის, რომ ეგ გამოსახულება ფრიად ტიპიურია და სწორედ მაგრეთიც უნდა იყოს ეგრედ-წოდებულ რადიოგრაფიულ გადახატულობისათვის, ესე იგი იმ გადახატულობისათვის, რომელიც რენტგენის სხივების შემწეობით არის ქმნილი სიბნელეშიო.

ოლაგა ჯაბადარი,  
(შემდეგი იქნება).

\*) ჩვეულებრივ კი დასჯილი ჯერ ციხეში იმყოფებოდნენ ხანგრძლივ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამულაძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

**რედაქცია**  
**უმოკრძილესად სთხოვს**  
**ხელის მთავარს**  
**წარმოადგინონ ამ წლის**  
**ხვედრი ფასი**

ДВАДЦАТЬ ДЕВЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1910 ГОДЪ

# РЕВУСЪ

● СТАРѢЙШІЙ ВЪ РОССІИ ●  
ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЙ  
ЖУРНАЛЬ

по вопросамъ спиритуализма, психизма, медиумизма и мистики.

Обзоръ и изслѣдованіе малоизвѣстныхъ теорій и фактовъ: телепатіи, ясновидѣнія, передачи мыслей, раздвоенія личности, одержанія сомнамбулизма, живот-аго магнетизма, медиумизма, гипнотизма, явленій спиритуализма и другихъ окултныхъ явленій и фактовъ.

Спорные вопросы науки и жизни.

Выходитъ НЕ МЕНѢЕ 2-ХЪ РАЗЪ въ мѣсяцъ выпусками отъ одного до трехъ печатныхъ листовъ. Статьи по мѣрѣ надобности сопровождаются пояснительными чертежами, рисунками и портретами.

ПОМѢЩАЮТСЯ ОТЗЫВЫ о новыхъ и старыхъ книгахъ: СОВѢТЫ, РАЗЪЯСНЕНІЯ И ОТВѢТЫ РЕДАКЦИИ на запросы и письма подписчиковъ. ВЪ ЛИТЕРАТУРНОМЪ отдѣлѣ будутъ помѣщаться повѣсти, рассказы, романы, стихотворенія и новеллы, соотвѣтствующіе направленію журнала.



За прошлые года въ журналѣ, въ числѣ прочихъ статей, были напечатаны: проф. Ф. МАЙЕРСА.—„О послѣднемъ существованіи“ и „Прижизненные признаки“; проф. А. БУТЛЕРОВА.—„Статьи по медиумизму“; А. АКСАКОВА.—„Анимизмъ и спиритизмъ“; проф. Н. ВАГНЕРА.—„Фотографія невидимой руки“; А. ДАССЬЕ.—„Позитивизмъ въ области спиритуализма“; проф. Ш. РИШЕ.—„Слѣдуетъ ли изучать спиритизмъ?“; д-ра Ж. МАКСВЕЛЬ.—„Феномены психизма“; д-ра М. ПРИНСА.—„Множественность личности“; проф. Ч. ЛОМБРОЗО.—„Непокойные дома“; А. ШОПЕНГАУЭРА.—„О духовидѣніи“; д-ра ДЮ-ПРЕЛЯ.—„Душа, какъ организующее начало“ и „Магія, какъ естествознаніе“; М. САБУРОВОЙ.—„Смерть только метаморфоза“.

проф. ШАРКО.—„О самнамбулизмѣ и гипнотизмѣ“; д-ра ОХОРОВИЧА.—„Лекціи о животномъ магнетизмѣ“; А. УОЛЛЕСА.—„Духовный деревинизмъ“; проф. В. КРУКСА.—„Объ относительности человѣческихъ знаній“; П. ЧИСТЯКОВА.—„Исторія волшебства и суевѣрій“; „Кантъ, какъ спиритуалистъ“; „Радій и левитаніе“; д-ра ПРИНСА.—„Множественность человеческой личности“; Ст. МОЗЕСА.—„Ученіе духовъ, социальное, религіозное и этическое“; А. БОЛТИНА.—„Догматы Христіанской Церкви съ точки зрѣнія спиритизма“; ГУБАЛКЕ.—„Метемпсихозъ (переволоченіе)“ и др.; затѣмъ ОТЧЕТЫ РУССКАГО СПИРИТУАЛИСТИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА, ЛОНДОНСКАГО ОБ-ВА ПСИХИЧЕСКИХЪ ИЗСЛѢДОВАНІИ и др.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

въ Россіи на годъ 5 р., на 1/2 года 3 р. за границу на годъ 6 р., на 1/2 года 3 р. 50 к.

Отдѣльный номеръ въ продажѣ 25 к. (можно высылать почтовыми марками).

Подписка принимается:

въ Москвѣ: въ редакц. журн. — Арбатъ, д. Толстого, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ въ Россіи.

3-3

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣдительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришова.